2017-დან 2020 წლის ჩათვლით გარემოსდაცვითი მიმართულებით განხორციელებული პროექტები

2020 წელს გარემოსდაცვითი მიმართულებით დასრულდა - 22 პროექტი

1. **სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით დონორი:** გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)
აღმასრულებელი ორგანიზაცია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ორგანიზაციის მეშვეობით (REC Caucasus)

პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 06.2016-11.2020
მიზნობრივი ტერიტორია: ახმეტა, გარდაბანი, დედოფლისწყარო

პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:

- შემუშავდა ქარსაფარი ზოლების მართვის სტრატეგიის ჩარჩო დოკუმენტი (თანადაფინანსება GIZ);
- შემუშავდა ქარსაფარი ზოლების მართვის კანონის პროექტი;
- მომზადდა და საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტს გადაეგზავნა ქარსაფარი ზოლების მართვის კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი. (თანადაფინანსება IFAD/AMMAR/GEF https://ammar.rec- caucasus.org/wp-content/uploads/2019/05/Final-Report-on-Windbreak-Law-RIA- ENG.pdf);
- მომზადდა საძოვრების მართვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ანალიზი (თანადაფინანსება GIZ);
- 5. სიტუაციური ანალიზისა და ძირითადი გამოწვევების საფუძველზე მომზადდა საძოვრების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა (თანადაფინანსება GIZ);
- დანტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტი „საძოვრების მართვა საქართველოში„ და საძოვრების მართვის სახელმწიფო პროგრამის დიზაინი (თანადაფინანსება GIZ);
- მომზადდა საქართველოს კანონის „ნიადაგის დაცვის შესახებ“ პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი (თანადაფინანსება IFAD/AMMAR/GEF https://rec-caucasus.org/wp-content/uploads/2020/08/RIA2-R7- Final-RIA-SOIL-PROTECTION-LAW-ENG.pdf
- პროექტმა ფასილიტაცია გაუწია აგრარული კომიტეტის შიდა განხილვას, სადაც განიხილიბოდა კანონის პროექტი „სასოფლო სამეურნეო მიწების დანიშნულების ცვლილებისა და მდგრადი მართვის შესახებ“;

- გაერთიანდა მიწის დეგრადაციის ვებ-პორტალი და გლობალური ტყის პორტალი. მიწის დეგრადაციის მონაცემები აიტვირთა და გამოქვეყნდა https://atlas.mepa.gov.ge/maps/LandDegradationmap?l=ka;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა საპილოტე პროექტი. სართიჭალაში 7 კმ.-ზე გაშენდა ქარსაფარი ზოლები. 50 ჰა მიწაზე დაინერგა თესლბრუნვის მეთოდი. ადგილობრივი ფერმერებს ჩაუტარდათ სწავლება თესლბრუნვის შესახებ 4 წლის განმავლობაში 2019 წლიდან;
- საპილოტე პროექტი განხორციელდა ახმეტის მუნიციპალიტეტში. საძოვრების მდგომარეობა გაუმჯობესდა სოფლებში შენაქოსა და კასრისწყალში;
- საპილოტე პროექტი განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. შირაქის ველზე გაშენდა 6 კმ. ქარსაფარი ზოლი, თესლბრუნვა განხორციელდა 100 ჰა-ზე;
- 4 საპილოტე პროექტის ფარგლებში მიღებული მიწის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა https://qcat.wocat.net/en/wocat/ ვებგვერდზე. ასევე გამოქვეყნდა მიწათსარგებლობის გეგმები, რომელიც მოიცავს მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის საკითხებს;
- ფერმერებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მეზობლებს და თესლბრუნვის საპილოტე პროექტი მომდევნო წელს განხორციელდა 210 ჰა-ზე ;
- კასრისწყალის ფერმერებმა ელექტრო ღობის გამოყენების შესახებ გამოცდილება გაუზიარეს მეზობლებს და 6 ჰა-ზე განხორციელდა როტაციული ძოვება. მსგავსი პროექტი განხორციელდა თუშეთშიც. ომალოში 7 ჰა-ზე განხორციელდა როტაციული ძოვება.
- ქარსაფარი ზოლები გაშენდა 60 კმ-ზე კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე;
- შემუშავდა, დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა ტრენინგ მოდული მიწის მდგრადი მართვის შესახებ, მათ შორის ქარსაფარი ზოლების მართვის, ნიადაგის დაცვისა და საძოვრების შესახებ;
- გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის და მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის პრინციპების შესახებ სწავლება გაიარა 350 ადამიანმა (154- მა ქალმა), მათ შორის - 200-მა ფერმერმა და 150-მა გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა;

2. "მმართველობის რეფორმის ფონდის" (GRF) ქვე-პროექტი „ჰაერის ხარისხის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოში“

დონორი: შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა -მმართველობის რეფორმის ფონდი (UNDP-GRF).

აღმასრულებელი ორგანიზაცია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო.

პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019 - 2020

მიზნობრივი ტერიტორია: საქართველო.

პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:

-გაუმჯობესებულია სამინისტროს/გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობებიატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის ტექნიკურ მომსახურებაში;

- შემუშავებულია მონიტორინგის ქსელის განვითარების გეგმა;
- გაძლიერებულია სამინისტროს შესაძლებლობები მონაცემთა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის კუთხით;
- არსებობს ბენზ(ა)პირენის მონიტორინგის სისტემა;
- შემუშავებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები;

-არსებობს 1990-2006 წწ. პერიოდის ინვენტარიზაცია და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემა;

- შემუშავებულია სოფლის მეურნეობის სექტორიდან გაფრქვევების შემცირების სახელმძღვანელო;
- გავრცელებულია ინფორმაცია ჰაერის ხარისხის საკითხებთან დაკავშირებით.

3. „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა და მეორე ორწლიური განახლებული ანგარიშის შემუშავება“ #000103518 (მეოთხე ეროვნული შეტყობინების კლიმატის ცვლილების მოწყვლადობის შეფასებისა და ადაპტაციის თავის მომზადება)

დონორი: გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

აღმასრულებელი ორგანიზაცია:

პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019 - 2020

მიზნობრივი ტერიტორია: საქართველო

პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:

- კლიმატის ცვლილების სცენარების გადასინჯვა შესაბამისი მოდელების გამოყენებით;
- საქართველოს შერჩეულ რეგიონებისთვის ჩატარდა კლიმატის ცვლილების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი კატასტროფების, წყლის რესურსების, ტურიზმის, სანაპირო ზოლის მოწყვლადობის, ტყის, ბიომრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიების, ისტორიული ძეგლების და ჯანდაცვის სექტორების მოწყვლადობის შეფასება;
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის აღწერა და გაანალიზება;
- ადაპტაციის სტრატეგიების მომზადება მოწყვლადი რეგიონებისა და სექტორებისათვის, ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავების მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით;
- პოლიტიკის ჩარჩოების იდენტიფიცირება ეროვნულ სტრატეგიებში ადაპტაციის ღონისძიებების ეფექტური ინტეგრირების მიზნით."

4. “საზღვაო დაკვირვებისა და მონაცემების ევროპული ქსელის ექსპლუატაცია, განვითარება და მომსახურება" (EMODNET III, მე-4 ლოტი - ქიმია, EASME/EMFF/2016/006).

დონორი: ევროკავშირი EU.

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ორგანიზაციების კონსორციუმი, რომელთა კოორდინატორია იტალიის ოკეანოგრაფისა და ექსპერიმენტული გეოფიზიკის ინსტიტუტი (OGS);

აღმასრულებელი ორგანიზაცია: გარემოს ეროვნული სააგენტო.

პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019 - 2020

მიზნობრივი ტერიტორია: საქართველო.

პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:

• მიღებულია შავი ზღვის შესახებ მონაცემები (დაბინძურების ქიმიური მახასიათებლები), რომლებიც წარმოდგენილია სხვა ევროპული ზღვების მონაცემებთან ურთიერთგაცვლადობის შესაძლებლობის მქონე ფორმატში;

• ჩატარდა ამ მონაცემების სისწორისა და სიზუსტის შეფასება, ანუ რეალიზებული იქნა მონაცემთა შეფასებისა და მონაცემთა კონტროლის პროცედურები;

• შემუშავდა, დაიტესტა და ექსპლუატაცია გაეშვა საჯარო პორტალი, სადაც წარმოდგენილია მონაცემები, მეტამონაცემები და მონაცემთა პროდუქტები.

5. „ეკო-კორიდორების ფონდი კავკასიაში (ECF) პარტნიორობა ცოცხალი ლანდშაფტებისათვის“

დონორი: WWF გერმანია; გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო (BMZ); გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისის (საკონსულტაციო მხარდაჭერა: Consortium GOPA – DFS – Hessenforst)
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2015-2020
მიზნობრივი ტერიტორია: დასავლეთ მცირე კავკასიონის კორიდორი, რომელიც ძირითადად მიუყვება მესხეთის ქედს და მოიცავს ტერიტორიას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკსა და აჭარის დაცულ ტერიტორიებს შორის

6. ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხრეთ კავკასიაში - III ფაზა
დონორი: გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)/ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: WWF
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2015-2020
მიზნობრივი ტერიტორია: ჯავახეთის დაცული ტერიტორია, ლაგოდეხის
დაცული ტერიტორია,, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ვაშლოვანის დაცული ტერიტორია-დასრულდა ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია;

7. კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციაში წარდგენა
დონორი: გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ატომური უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო (BMUB); ზუკოვის ფონდი (Michael Succow Foundation); WWF
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია: N/A
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2016 - 2020
მიზნობრივი ტერიტორია: კოლხეთი ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერილორია, მტირალას ერვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორია

პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- განხორციელდა კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორების UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციაში წარდგენა

8. საგრანტო ხელშეკრულება-სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა დაზღვევა (ტერიტორიული ადმინისტრაციები)
დონორი: კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2020 – 2020
მიზნობრივი ტერიტორია: 20-ვე ტერიტორიული ადმინისტრაცია
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- დაცული ტერიტორიების თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევით

9. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020
მიზნობრივი ტერიტორია: ვაშლოვანის ეროვნული პარკი
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- რეინჯერებს მიეცათ სახელფასო დანამატი ღამით პატრულირებისათვის;
- განხორციელდა პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

- შესყიდულ იქნა ინვენტარი პატრულირებისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის;

10. თუშეთის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020
მიზნობრივი ტერიტორია: თუშეთის ეროვნული პარკი
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- რეინჯერებს მიეცათ სახელფასო დანამატი ღამით პატრულირებისათვის;
- განხორციელდა პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
-შესყიდულ იქნა ინვენტარი პატრულირებისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის;

11. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ჯავახეთის ეროვნული პარკი
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- რეინჯერებმა ყოველთვიურად მიიღეს სახელფასო დანამატი;
- რეინჯერებს მიეცათ სახელფასო დანამატი ღამით პატრულირებისათვის;
- განხორციელდა პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

12. ყაზბეგის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ყაზბეგის ეროვნული პარკი
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- რეინჯერებს მიეცათ სახელფასო დანამატი ღამით პატრულირებისათვის;
- განხორციელდა პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

13. კინტრიშის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020
მიზნობრივი ტერიტორია: კინტრიშის დაცული ტერიტორია
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- რეინჯერებმა ყოველთვიურად მიიღეს სახელფასო დანამატი;
- რეინჯერებს მიეცათ სახელფასო დანამატი ღამით პატრულირებისათვის;
- განხორციელდა პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- შესყიდულ იქნა ინვენტარი პატრულირებისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის;

14. ალგეთის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტო
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ალგეთის ეროვნული პარკი
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- რეინჯერებმა ყოველთვიურად მიიღეს სახელფასო დანამატი;
- რეინჯერებს მიეცათ სახელფასო დანამატი ღამით პატრულირებისათვის;
- განხორციელდა პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- შესყიდულ იქნა ინვენტარი პატრულირებისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის;

15. SMART პატრულირების სისტემის დანერგვა დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
აღმასრულებელი ორგანიზაცია: პროექტის
მთლიანი ბიუჯეტი: N/A
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019-2020
მიზნობრივი ტერიტორია: ბორჯომის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორია
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
-გაუმჯობესდა პატრულირების სისტემა და მოხდა მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაცია ერთიან ფორმატში.

16. ლაგოდეხის ხის კენწეროების პროექტის ტექნიკური და უსაფრთხოების ექსპერტიზა
დონორი: კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: Bureau Veritas
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2020-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ლაგოდეხის დაცული ტერიტორია
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად შემუშავდა დასკვნა ლაგოდეხის ხის კენწეროების ბილიკის პროექტისთვის.

17. ჯავახეთში, კარწახის ტბაზე ხელოვნური კუნძულების მოწყობა დონორი:
კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
აღმასრულებელი ორგანიზაცია:
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ჯავახეთის დაცული ტერიტორია
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- კარწახის ტბაში განთავსდა ხელოვნური კუნძულები;
- კარწახის ტბასთან მოეწყო ფრინველებზე დაკვირვების კოშკურა.

18. საგამოფენო სივრცის მოწყობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში (ბორჯომში)
დონორი: EU/ENPARD; CNF.
განმახორციელებელი ორგანიზაცია: Mercy Corps
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ბორჯომი.
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:

- განხორციელდა ბორჯომ-ხარაგაულის ადმინისტრაციის (ბორჯომის) ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია.

19. საგამოფენო სივრცის მოწყობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში (ხარაგაულში)
დონორი: კავკასიის ბუნების ფონდი (CNF); TJS
განმახორციელებელი ორგანიზაცია: TJS
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019-2020 **მიზნობრივი ტერიტორია:** ხარაგაული
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- განხორციელდა ბორჯომ-ხარაგაულის ადმინისტრაციის (ხარაგაულის) ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია.

20. COVID-19 ის მიერ გამოწვეულ კრიზისთან დაკავშირებული ეროვნული სატყეო სააგენტოს სამოქმედო გეგმის განხორციელება
დონორი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო **აღმასრულებელი ორგანიზაცია:**
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2020-2020
მიზნობრივი ტერიტორია: რაჭა-ლეჩხუმის ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი.
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- ტყის დაცვის ღონისძიებები, რომელიც მოიცავს ტყის ფართობებზე ხანძრის პრევენციას; - ხე-ტყის დამზადების ღონისძიებები სკოლებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების შეშით უზრუნველსაყოფად; - სატყეო გზების ქსელის განვითარება. პროექტის ფარგლებში სააგენტომ განახორციელა სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და სოფლის მოსახლეობის საარსებო წყაროს შენარჩუნებას.

21. „ქვეყნის სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ანგარიშისა და BUR-ის შესაბამისი თავის მომზადებაზე UNDP/GEF პროექტის „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა და მეორე ყოველწლიური განახლებული ანგარიშის შემუშავება“ დონორი: გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)
განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.
პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2019 - 2020
მიზნობრივი ტერიტორია: საქართველო
პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები:
- მოხდა 2010-2013 წლების სათბურის გაზების (სგ) ინვენტარიზაციის რევიზია
- ჩატარდა 2014-2015 წლების სგ ინვენტარიზაცია
- 2014-2015 სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ანგარიშის მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე
- SBUR-სთვის სგ ინვენტარიზაციის თავი მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- მოხდა SBUR-ის ყველა ნაწილის კომპილაცია და რედაქტირება
- 2014-2015 სათბური გაზების ინვენტარიზაციის ანგარიში და SBUR გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე
- 2014-2015 სათბური გაზების ინვენტარიზაციის ანგარიში და SBUR ჩაბარდა UNDP-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

22. „შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება - შერჩეული ღონისძიებები“ (EMBLAS-Plus)

დონორი: ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) **განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

პროექტის დაწყების-დასრულების თარიღი: 2018-2020

მიზნობრივი ტერიტორია: საქართველო

პროექტის შესრულების შედეგად მიღწეული შედეგები: პროექტი ეფუძნება უკვე განხორციელებული პროექტების (EMBLAS და EMBLAS II) შედეგებს და მიზნად ისახავს შავი ზღვის გარემოს დაცვის გაუმჯობესებას შემდგომი ტექნიკური დახმარების გზით, რომელიც ფოკუსირებულია საზღვაო მონაცემების შეგროვებაზე და ადგილობრივ მცირემასშტაბიან ქმედებებზე, რომლებიც ითვალისწინებს ზღვის ნაგვით დაბინძურების შემციერებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და განათლებას.

პროექტის საერთო მიზანია შავი ზღვის გარემოს დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მოსალოდნელი შედეგები: გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა და გაცვლა, რომლებიც შესაბამისობაშია "ზღვის სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა" (MSFD) და "წყლის წარჩო დირექტივის" (WFD) პრინციპებთან და "შავი ზღვის ინტეგრირებული მონიტორინგისა და შეფასების პროგრამასთან" (BSIMAP);

2. მხარდაჭერია ერთობლივი ქმედებები, რომლებიც მიმართულია მდინარისა და ზღვის ნაგვის შემცირებაზე შავ ზღვაში

3. ამაღლებულია ცნობიერება ძირითად გარემოსდაცვით პრობლემებზე და გაზრდილია საზოგადოებრივი ჩართულობა შავი ზღვის დაცვაში.

2019 წელს გარემოსდაცვით მიმართულებით დასრულდა - 9 <u>პროექტი</u>

1) პროექტის სახელწოდება: „ველური ბუნების მდგრადი მართვის შესაძლებლობების განვითარება“

დონორი: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

მიღწეული შედეგები: მომზადდა და სამინისტროს წარედგინა „წინადადებები და რეკომენდაციები სანადირო სექტორის მდგრადი მართვის რეგულირების პოლიტიკისათვის“. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“გარეულ ცხოველთა და ფლორის მართვის სფეროს რეგულირებისათვის. შემუშავდა საკანონმდებლო ხარვეზების დიაგნოსტირების ინსტრუმენტი საქართველოში მდგრადი მონადირეობის ხელშეწყობის მიზნით. ხარვეზის ანალიზის დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი წარმოადგენს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ნადირობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან (კონვენციები, შეთანხმებები, დირექტივები და ა.შ.) შედარებისა და შესაბამისობის დადგენის საშუალებას იძლევა. ზემოაღნიშნული დოკუმენტები საფუძვლად დაედო საქართველოში ნადირობის კანონპროექტის შემუშავებას, რომელიც მიმდინარე პროცესშია. რაჭაში შერჩეულ საპილოტე ტერიტორიაზე კერძოდ, ლუხუნისა და წყალმაჭარას ხეობებში, ვიდეო- ხაფანგების საშუალებით განხორციელდა გარეული ცხოველების სახეობების აღრიცხვა და მონიტორინგი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა „ველური ბუნების მდგრადი მართვის გეგმა ამბროლაური მუნიციპალიტეტში“.

გენდერის ადგილობრივი და საერთაშორისო კონსულტანტების მიერ შემუშავდა დოკუმენტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამონადირეო და თევზჭერის ტურიზმში მათი ჩართულობით“. ამბროლაურში გაიმართა ტრენინგი სამონადირეო სექტორის განვითარების საფუძველზე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური გაძლირების შესაძლებლობების შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტის ცენტრის ჩართულობით გამოიცა სამეცნიერო- პოპულარული ტიპის ალბომი „ნადირობისა და ტყით სარგებლობის ტრადიცია ძველ
საქართველოში“ http://www.fao.org/3/CA1769B/ca1769b.pdf

2) **პროექტის სახელწოდება:** "საქართველოში ტყისა და ლანდშაფტის გაუმჯობესებული მართვის ხელშეწყობა"

დონორი: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), გაეროს განვითარების პროგრამა (UNEP), მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (WRI)

მიღწეული შედეგები: შეიქმნა ინტერნეტ ტექნოლოგიაზე დაფუძლებული «ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მხარდამჭერი» სისტემა («ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი»» https://atlas.mepa.gov.ge/ და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პორტალი (სერვერი) https://gis.mepa.gov.ge/.

3) **პროექტის სახელწოდება:** „მერქნული საფარის კარგვის დინამიკა/ტენდენციების მონიტორინგი და ანალიზი"

დონორი: მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (GFW)

მიღწეული შედეგები: პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა ტყის საფარის კლების გამომწვევი მიზეზების ვალიდაცია, კლასიფიცირება და გეო მონაცემთა ბაზის შექმნა GFW- ს ტყის საფარის კლების მონაცემების ფარგლებში, ნახანძრალი ტყის საფარის შესახებ გეო მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი, NASA-ს მონაცემებისა და სატელიტური სურათების მეშვეობით, ნახანძრალი ტერიტორიების შესწავლა და მოხსენების მომზადება ტყის საფარის ბუნებრივი აღდგენის პროცესებზე და ნიადაგის ეროზიაზე.

4) **პროექტის სახელწოდება:** „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში (ფაზა II)"

დონორი: ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა (ADC)

მიღწეული შედეგები: დასრულდა „ტყის კოდექსის" კანონპროექტის შემუშავების პროცესი.

5) **პროექტის სახელწოდება:** „მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული სისტემა ბათუმში და აჭარის რეგიონისათვის (ISTBAR)"

დონორი: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)

მიღწეული შედეგები: პირველად ბათუმის ისტორიაში განხორციელდა შინამეურნეობათა ურბანული მობილობის (გადაადგილების) კვლევა პირდაპირი გამოკითხვის მეთოდით. შეიქმნა ბათუმის ოთხსაფეხურიანი ტრანსპორტის მოდელი. ბათუმის მერიას გადაეცა ტრანსპორტის მაკრო და მიკრო მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფა. მერიის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი ტრანსპორტის მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაში.

6) **პროექტის სახელწოდება:** „სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით"

დონორი: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)

მიღწეული შედეგები: შემუშავდა ეროვნულ დონეზე ადეკვატური იურიდიული, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოები ლანდშაფტის–მიწის რესურსების მდგრად მართვაზე და გაიზარდა ცნობიერება მიწის რესურსების მდგრადი მართვის საკითხებზე.

7) **პროექტის სახელწოდება:** მცირე გრანტების პროგრამა

დონორი: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)

მიღწეული შედეგები: 2019 წელს მცირე გრანტების პროგრამის მე-6 სამუშაო ფაზის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო არასამთავრობო და სათემო. ორგანიზაციების 18 ახალი ინიციატივა, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც საქართველოს უნიკალური ბუნებრივი გარემოს დაცვის საქმეში, ასევე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

8) პროექტის სახელწოდება: „ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის განხორციელებისათვის შესაძლებლობების განვითარება და საჭირო ღონისძიებების მხარდაჭერა საქართველოში 2016-2019 წლებში, კერძოდ, სახიფათო და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის, ასევე მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის თაობაზე“

დონორი: შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო(SIDA)

მიღწეული შედეგები: პროექტის ფარგლებში განხორციელდა სახიფათო ნარჩენების ინვენტარიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება; შემდგომი ქმედებებისათვის რეკომენდაციების შემუშავება შვედეთის EPR სისტემის მიდგომების შესახებ ბიზნეს და სახელმწიფო სექტორის მხრიდან გამოცდილების გაზიარება; ტექნიკური უსაფრთხოების მეთოდოლოგიის შემუშავება; საქართველოში EPR-ის განხორციელების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება; მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მენეჯმენტის და ნაგავსაყრელების ოპერატორების, შპს «თბილსერვის ჯგუფისა» და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლების ცოდნის გაღრმავება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ნარჩენების მიღების კრიტერიუმების დანერგვა.

9) პროექტის სახელწოდება: “დისტანციური ზონდირების მეთოდების ადაპტირება წყლის რესურსების მართვაში და ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური სიტუაციების შეფასება საქართველოში“

დონორი: სლოვაკეთის განვითარების დახმარების პროგრამა (SlovakAid)

მიღწეული შედეგები: ჩატარდა ტრენინგები მეტეოროლოგიის სფეროში. მოხდა ინტეგრირებული სატელიტური და რადარულ მეტეოროლოგიაში ინფორმაციის ინტეგრირება და ვიზუალიზაცია, ამინდის ზუსტი პროგნოზირებისთვის

<u>2018 წელსგარემოსდაცვითიმიმართულებითდასრულდა- 8 პროექტი</u>

2018 წელს საერთო ჯამში გარემოსდაცვითი მიმართულებით დასრულდა 8 პროექტი.
დონორ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გაერთიანებული სამეფოსა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობები.

1) „შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება - მე-2 ფაზა“ (EMBLAS II)
2) საქართველოში ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება (საჯარო უწყებების დაძმობილების Twinning პროექტი)
3) საქართველოს სახიფათო ნარჩენების მართვის პროექტი: ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთება
4) გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში (CCCD)
5) ბიომრავალფეროვნების ფინანსური ინიციატივა (BIOFIN)
6) ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ (მგვ) პრინციპის დანერგვის მხარდაჭერა
7) დაცული ტეროტორიების სისტემის კანონის განახლება
8) გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დანერგვის სტრუქტურა საქართველოში

2017 წელს გარემოს დაცვითი მიმართულებით დასრულდა- 25 პროექტი

2017 წელს საერთო ჯამში გარემოსდაცვითი მიმართულებით დასრულდა 25 პროექტი. **დონორ ორგანიზაციებს** წარმოადგენდნენ: ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აშშ საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა, გერმანიის ფედერაციული რესპბლიკის მთავრობა/ბავარიის ტყეების ეროვნული პარკი, ნორვეგიის სამეფოს მთავრობა, კავკასიის ბუნების ფონდი (CNF), კლიმატის მწვანე ფონდი (GCF), გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო BMUB, სლოვაკეთის განვითარების სააგენტო (SlovakAid), ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA), სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, იაპონიის მთავრობა.

განხორციელებული პროექტები:

1. ტექნიკური დახმარება საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემების გაუმჯობესებისთვის;
2. კოლხეთის ეროვნული პარკის ნორჩი ელჩები;
3. ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ (მგვ) პრინციპის დანერგვის მხარდაჭერა;
4. ველური ბუნების მდგრადი მართვის შესაძლებლობების განვითარება კლიმატის მწვანე ფონდისთვის მზადყოფნისა და მომზადების მხარდაჭერა საქართველოში;
5. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების განახლებული საგრანტო ხელშეკრულება;
6. ყაზბეგის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება;
7. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება;
8. ალგეთის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება;
9. თუშეთის დაცული ტერიტორიების განახლებული საგრანტო ხელშეკრულება;
10. კინტრიშის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება;
11. ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება;
12. მტირალას ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება;
13. საქართველოს სახიფათო ნარჩენების მართვის პროექტი - ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება;
14. კოლხეთის ტყეებისა და ცენტრალური კავკასიონის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად გამოცხადება;
15. ინფორმაციის მნიშვნელობა: მასშტაბური ანგარიშგების შესაძლებლობების განვითარება და თანამშრომლობის გზით საერთაშორისო დონეზე ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა;
16. რაჭისა და ერუშეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და კანონპროექტის შემუშავება;
17. საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოში გამოყენებული ანალიტიკური მეთოდების ჰარმონიზაცია „წყლის ჩარჩო დირექტივის“ (2013/39/EU) მოთხოვნებთან;
18. წყლის რესურსებზე გვალვების ზეგავლენის მონიტორინგი და შეფასება და მათი ეფექტური გამოყენება საქართველოში
19. ტყის ინვენტარიზაცია და ტყის მდგრადი მართვა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე;
20. შერჩევითი ღონისძიებების განხორციელება თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმიდან;
21. "რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს განვითარება რადიოაქტიური ნარჩენების (თხევადი ნარჩენების ჩათვლით) გადასამუშავებლად“

22. "ბირთვული და რადიაციული მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის განვითარება“
23. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დანერგვის სტრუქტურა საქართველოში
24. იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარება იაპონური მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქციის მოწოდების მიზნით (2014)“
25. თანამშრომლობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის სფეროში ბავარიის ტყეების ეროვნულ პარკთან.